GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 26
თარიღი: 11 03 2019 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40–51–48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

KA010122173459819

№3559

06 / მარტი / 2019 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის"
ფაქტ-მეტრის რედაქტორს,
ბატონ დავით ქუტიძეს
თბილისი, მ. კოსტავას №75გ, ბინა №40

ბატონო დავით,

თქვენი 2019 წლის 6 თებერვლის №32 (საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის №01/4278; 07.02.2019) წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

თქვენთვის როგორც ცნობილია, 2011 წლის პირველ აპრილს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ საქართველოს სარჩელი არ მიიღო წარმოებაში არსებითი განხილვისათვის, რადგან, სამწუხაროდ, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მიერ ამოწურული არ იყო „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" გაერო-ს 1965 წლის კონვენციით დავების მოგვარებისთვის გათვალისწინებული სასამართლომდელი მექანიზმები.

აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, მასში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით 2011-2014 წლებში რუსეთის ფედერაციასთან შედგა არაერთი კომუნიკაცია დიპლომატიური ნოტების საშუალებით, სადაც მკაფიოდ დაფიქსირდა მოლაპარაკებების წარმოების სურვილი. 2014 წელს რუსეთის ფედერაციას დამატებით ეცნობა, რომ ქართული მხარე ამ საკითხს დაუბრუნდება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მიმდინარე დავის (*საქართველო რუსეთის წინააღმდეგ II*) დასრულების შემდეგ. გაცნობებთ, რომ ამ დავის ფარგლებში ბოლო ზეპირი მოსმენა სტრასბურგის სასამართლოს დიდ პალატაში გაიმართა 2018 წლის 23 მაისს და მხარეები ველოდებით გადაწყვეტილების გამოცხადებას.

რაც შეეხება თქვენს წერილში ხსენებულ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 61-ე მუხლს, აღნიშნული ეხება სასამართლოს მიერ უკვე გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვას ახლადგამოვლენილი გარემოების საფუძველზე. კერძოდ, ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ უკვე გამოტანილი გადაწყვეტილების გადახედვა შესაძლებელია თუ გამოვლინდება ისეთი გარემოება, რომელიც სასამართლოსთვის და გადასინჯვის მომთხოვნი მხარისთვის ცნობილი არ იყო გადაწყვეტილების

გამოიკვეთება მსგავსი სახის ახალი გარემოება, მათ შორის, სხვა საერთაშორისო სასამართლოებში მიმდინარე საქმეების ფარგლებში, საქართველოს მთავრობა დაუყოვნებლივ მიმართავს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი)

ხელმოწერილია შტამპადასმულია ელექტრონულად

01

თამთა ფეტვიაშვილი